

შპს „უნიბოქს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5

2. მომზადების საფუძველი 5

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 9

5. ამონაგები რეალიზაციიდან 9

6. რეალიზაციის თვითღირებულება 10

7. კომერციული ხარჯები 10

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 10

9. ფინანსური ხარჯები 10

10. საკუროსო მოგება/ზარალი 11

11. ძირითადი საშუალებები..... 12

12. მარაგები 13

13. გადახდილი ავანსები..... 13

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 13

15. ფული და ფულის ექვივალენტები 13

16. კაპიტალი 13

17. გრძელვადიანი სესხები 14

18. საგადასახადო ვალდებულებები 14

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები..... 14

შპს “უნიბოქს”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს “უნიბოქს”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2024	2023
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	2,880,031	3,011,794
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(2,075,402)	(2,012,127)
საერთო მოგება/(ზარალი)		804,629	999,667
კომერციული ხარჯები	7	(27,251)	(19,490)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(385,958)	(460,187)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(47,053)	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		344,367	519,991
ფინანსური ხარჯი	9	(161,431)	(23,702)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	(56,782)	(64,318)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		126,154	431,971
მოგების გადასახადი		(25,263)	(72,260)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		100,891	359,711

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:


ნინო თოთიშვილი
დირექტორი

შპს “უნიბოქს”

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		2024	2023
	შენიშვნა	(არააუდიტირებული)	(არააუდიტირებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	5	2,880,031	3,011,794
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(2,075,402)	(2,012,127)
საერთო მოგება/(ზარალი)		804,629	999,667
კომერციული ხარჯები	7	(27,251)	(19,490)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(385,958)	(460,187)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(47,053)	-
სხვა საოპერაციო შემოსავლები		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		344,367	519,991
ფინანსური ხარჯი	9	(161,431)	(23,702)
საკურსო მოგება/(ზარალი)	10	(56,782)	(64,318)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		126,154	431,971
მოგების გადასახადი		(25,263)	(72,260)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		100,891	359,711

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს:

ნინო თითირაშვილი
დირექტორი

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “უნიზოქს”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		31 დეკემბერი 2024 შენიშვნა (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	2,424,711	669,286
არამატერიალური აქტივები	11	279	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,424,990	669,286
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	12	443,111	245,138
გადახდილი ავანსები	13	237,402	369,357
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	376,110	325,046
ფული და ფულის ექვივალენტები	15	3,007,846	77,510
სულ მიმდინარე აქტივები		4,064,469	1,017,051
სულ აქტივები		6,489,459	1,686,337
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	-	-
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	16	2,531.00	44,798
სულ კაპიტალი		2,531	44,798
გრძელვადიანი სესხები			
	17	5,101,170	1,050,482
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5,101,170	1,050,482
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	18	5,041	10,629
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	1,380,717	580,428
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,385,758	591,057
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,489,459	1,686,337

5-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს “უნიზოქს”

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არააუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2022	-	94,561	94,561
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი	-	359,711	359,711
დივიდენდის გამოცხადება		(409,474)	(409,474)
31 დეკემბერი 2023	-	44,798	44,798
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი	-	100,891	100,891
დივიდენდის გამოცხადება		(143,158)	(143,158)
31 დეკემბერი 2024	-	2,531	2,531

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „უნიბოქსი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405289628) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. იგი დაარსდა 2018 წლის 10 სექტემბერს და ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული.

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გოფრირებული მუყაოს ქაღალდის წარმოება იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი:

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №75, კორპ. 10, ბინა 48.

საქმიანობის ფაქტობრივი ადგილია: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალუბანი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

გიორგი თითირაშვილი (პ.ნ. 01009014741) - 25%

ნინო თითირაშვილი (პ.ნ. 01009017318) - 25%

თორნიკე ფურცელაძე (პ.ნ. 01019063447) - 25%

დავით ჯოხაძე (პ.ნ. 01031003784) - 25%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკური გარემო ხასიათდება მაღალი ინფლაციით, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, რომელიც განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არსებითად არის დამოკიდებული მთავრობის ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე, ასევე საკანონმდებლო და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 12-თვიან მონაკვეთს, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

შესაბამისობის განცხადება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციების გათვალისწინებით.

მსს ფასს-ის მიხედვით, ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელობის მსჯელობის გამოყენებას. სფეროები, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებულ მსჯელობას ან შეფასებებს, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. პრინციპის მიზანშეწონილობის შესაფასებლად, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების პროგნოზებს, მათ შორის პესიმისტურ და რეალისტურ სცენარებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის ძირითადი საოპერაციო ვალუტა, რაც განპირობებულია კომპანიის საქმიანობის ადგილით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. წარმოქმნილი კურსთაშორისი სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები და ოპერაციები აღირიცხება შესაბამისი ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკის დეპოზიტებს და სხვა მაღალლიკვიდურ, მოკლევადიან ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღებ თანხებს, რომლებიც ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარეობს. მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები, თუ მათი დაფარვა მოსალოდნელია თორმეტ თვეზე ნაკლებ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში,

ისინი განიხილება გრძელვადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები და არ ქმნის მათ რეზერვს, რადგან არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ვერ მოხდება შეთანხმებული თანხის სრულად ამოღება.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-30 წელი
მანქანა-დანადგარები	8-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8 წელი
სხვა	5-8 წელი

არამატერიალური აქტივები.

კომპანიას გააჩნია არამატერიალური აქტივი.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოებულ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2024	2023
ყუთები და მუყაოს სხვა ნაწარმი	2,880,031	3,011,794
სულ	2,880,031	3,011,794

შპს “უნიბოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
ყუთებისა და მუყაოს სხვა ნაწარმის თვითღირებულება	(2,075,402)	(2,012,127)
სულ	(2,075,402)	(2,012,127)

7. კომერციული ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირების ხარჯი	(22,844)	(15,090)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(4,407)	(4,400)
სულ	(27,251)	(19,490)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	(196,838)	(257,690)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(40,044)	(27,751)
იჯარის ხარჯები	(14,078)	(63,810)
საგადასახადო ხარჯი	(4,504)	(3,520)
სხვა დანახარჯები	(130,495)	(107,416)
სულ	(385,958)	(460,187)

9. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(161,431)	(23,702)
სულ	(161,431)	(23,702)

შპს “უნიპოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. საკურსო მოგება/ზარალი	2024	2023
სასესხო ვალდებულებებიდან	(42,641)	(51,956)
ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან	(14,141)	(12,362)
სულ	(56,782)	(64,318)

შპს “უნიბოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2022	-	-	-	18,016	22,000	104,245	30,708	174,969
შემოსვლა წლის განმავლობაში	220200	384,816	-	7,998				613,014
გასვლა		-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	220200	384816.35	-	26014	22,000	104,245	30,708	787,983
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	1,581,391	1,966,207	15,050	-	315,003	26,528	3,904,179
გასვლა	-	(1,966,207)		(23,175)	-	(141,350)	(30,708)	(2,161,440)
31 დეკემბერი 2024	220,200	-	1,966,207	17,889	22,000	277,898	26,529	2,530,722
დაგროვილი ცვეთა								-
31 დეკემბერი 2022	-	-	-	(6,082)	(12,833)	(45,952)	(21,679)	(86,546)
წლის დარიცხული ცვეთა		-	-	(4,137)	(4,400)	(17,532)	(6,082)	(32,151)
გასვლები		-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	-	-	(10,219)	(17,233)	(63,484)	(27,761)	(118,696)
წლის დარიცხული ცვეთა				(859)	(4,407)	(19,886)	-	(25,152)
გასვლები				10,077			27,761	37,838
31 დეკემბერი 2024	-	-	-	(1,001)	(21,640)	(83,370)	-	(106,011)
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2023	220,200	384,816	-	15,795	4,767	40,761	2,948	669,287
31 დეკემბერი 2024	220,200	-	1,966,207	16,888	360	194,528	26,529	2,424,711

შპს “უნიზოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. მარაგები

	2024	2023
ნედლეული	193,115	126,666
მზა პროდუქცია	228,864	118,472
სხვა მარაგი	21,132	-
სულ	443,111	245,138

13. გადახდილი ავანსები

	2024	2023
გადახდილი ავანსები	237,402	369,357
სულ	237,402	369,357

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	376,110	325,046
სულ	376,110	325,046

15. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების 99.8% წარმოდგენილია რეზიდენტ კომერციულ ბანკებში, ეროვნული და უცხოური ვალუტით განთავსებული მიმდინარე ანგარიშების ნაშთებით.

16. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, წესდების თანახმად, შეადგენს 0 (ნულ) ლარს. კომპანიის პარტნიორების (მეწილეების) შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანიის წესდების შესაბამისად, დივიდენდების ოდენობის, გაცემისა და განაწილების წესის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. 2024 წლის განმავლობაში, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, კომპანიამ პერიოდულად განახორციელა დივიდენდების განაწილება, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 143,158 ლარი.

შპს “უნიბოქს”

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მეწილეები:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გიორგი თითირაშვილი (01009014741)	25%	25%
ნინო თითირაშვილი (01009017318)	25%	25%
თორნიკე ფურცელაძე (01019063447)	25%	25%
დავით ჯოხაძე (01031003784)	25%	25%

17. გრძელვადიანი სესხები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ფინანსური ინსტიტუტებისგან მოიზიდა გრძელვადიანი, ევროში დენომინირებული სესხები. საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ აღნიშნული სესხების პირობებისა და კოვენანტების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

18. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ცვლილებების შედეგად, დაინერგა საგადასახადო ვალდებულებების ერთიან სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვის სისტემა. ამ ცვლილების შესაბამისად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგაქვითვის პრინციპით, ნეტო თანხის სახით.

	2024	2023
საგადასახადო ვალდებულებები	5,041	10,629
სულ	5,041	10,629

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,011,473	561,826
მიღებული ავანსები	18,132	18,601
სულ	1,029,605	580,428